ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2022 წლის 25 აგვისტო

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 20/12/2021 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.117.016506) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

თავი I

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**14 282,5**	**16 627,3**	**8 834,0**	**7 793,3**	**21 681,4**	**10 678,4**	**11 003,2**
გადასახადები	**6 761,5**	**8 170,6**	8 170,6		**9 865,0**	9 865,0	-
გრანტები	**6 759,7**	**7 966,7**	173,4	7 793,3	**11 003,0**	-	11 003,0
სხვა შემოსავლები	**761,4**	**490,0**	490,0		**813,4**	813,4	
II. ხარჯები	**7 389,3**	**8 665,7**	**8 293,7**	**400,8**	**10 130,7**	**9 813,1**	**317,5**
შრომის ანაზღაურება	**1 800,8**	**1 855,2**	1 795,2	60,0	**2 535,1**	**2 466,6**	**68,5**
საქონელი და მომსახურება	**1 507,4**	**2 038,6**	1 771,3	267,3	**2005,1**	**1 827,3**	**177,8**

პროცენტი	69,8	61,6	61,6	-	61,6	61,6	-
სუბსიდიები	3 382,8	3 792,1	3 727,4	64,7	4 553,9	4 482,7	71,2
გრანტები	3,9	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	470,1	570,6	570,6	-	630,8	630,8	-
სხვა ხარჯები	154,5	347,5	367,6	8,8	344,3	344,3	-
III. საოპერაციო სალდო	6 893,2	7 961,7	540,3	7 392,5	11 550,7	865,3	10 685,4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 620,4	8 438,7	860,9	7 577,8	12 662,9	1 544,1	11 118,8
ზრდა	8 021,7	9 068,4	1 490,6	7 577,8	12 922,9	1 804,1	11 118,8
კლება	1 401,3	629,7	629,7	-	260,0	260,0	-
V. მთლიანი სალდო	272,8	- 477,0	- 320,6	- 185,3	- 1 112,2	- 678,8	- 433,4
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	165,1	- 584,8	- 399,5	- 185,3	- 1 220,0	- 786,6	- 433,4
ზრდა	165,1	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	165,1	-	-	-	-	-	-
კლება	-	584,8	399,5	185,3	1 220,0	786,6	433,4
ვალუტა და დეპოზიტები	-	584,8	399,5	185,3	1 220,0	786,6	433,4
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 107,8	- 107,8	- 107,8	-	-107,8	-107,8	-
კლება	107,8	107,8	107,8	-	107,8	107,8	-
საშინაო	107,8	107,8	107,8	-	107,8	107,8	-
სესხები	107,8	107,8	107,8	-	107,8	107,8	-
VIII. ბალანსი	0,0	0,0	- 28,9	-	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	15 683,9	17 257,0	9 463,7	7 793,3	21 941,4	10 938,4	11 003,0

შემოსავლები	**14 282,5**	**16 627,3**	8 834,0	7 793,3	**21 681,4**	10 678,4	**11 003,0**
არაფინანსური აქტივების კლება	**1 401,3**	**629,7**	629,7		**260,0**	260,0	
გადასახდელები	**15 518,8**	**17 841,8**	**9 863,2**	**7 978,6**	**23 161,4**	**11 725,0**	**11 436,4**
ხარჯები	**7 389,3**	**8 665,7**	8 264,9	400,8	**10 130,7**	9 813,1	317,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	**8 021,7**	**9 068,4**	1 490,6	7 577,8	**12 922,9**	1 804,1	11 118,8
ვალდებულებების კლება	**107,8**	**107,8**	107,8	-	**107,8**	107,8	
ნაშთის ცვლილება	**165,1**	**- 584,8**	**- 399,5**	**- 185,3**	**- 1 220,0**	**- 786,6**	**- 433,4**

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 21 681,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	**2020 წლის ფაქტი**	**2021 წლის გეგმა**	**2022 წლის პროექტი**
შემოსავლები	**14282,5**	**16627,3**	**21 681,4**
გადასახადები	6761,5	8170,6	9 865,0
გრანტები	6759,7	7793,3	11 003,0
სხვა შემოსავლები	761,4	490,0	813,4
უცხოური ორგანიზაციიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტები		173,4	-

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 9 865,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	**2020 წლის ფაქტი**	**2021 წლის გეგმა**	**2022 წლის პროექტი**
გადასახადები, მათ შორის:	**6 761,5**	**8 170,6**	**9865,0**
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6 317,4	7 457,2	9015,0
ქონების გადასახადი	444,0	713,4	850,0
საწარმოთა ქონებაზე	341,5	702,3	820,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	7,5	3,0	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	30,6	4,1	6,0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	64,5	4,0	24,0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები (ტრანსფერები)

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან განისაზღვროს 11 003,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	**6759,7**	**7793,3**	11 003,0
სხვა ქვეყნის მთავრობიდან			
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან		-	-
გრანტები (ტრანსფერები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან:	**6759,7**	**7793,3**	**11 003,0**
გათანაბრებითი ტრანსფერი	-		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისსათვის	230,0	310,2	319,3
კაპიტალური ტრანსფერი რეგიონალური ფონდიდან	5767,4	6259,1	9949,6
სპეციალური ტრანსფერი; მათ შორის:	762,2	1224,0	734,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	762,2	734,0	734,0
სხვა სპეციალური ტრანსფერები	-	490,0	-
გარდა ამისა, უცხოური ორგანიზაციიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტები		**173,4**	-

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 813.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	**761,386**	**490,0**	**813.4**
შემოსავლები საკუთრებიდან	**424,7**	**355,0**	**498.4**
პროცენტები	**71,8**	**90,0**	**127.7**
რენტა	**352,9**	**265,0**	**370.7**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	345,1	253,5	363.7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	7,8	11,5	7.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**154,0**	**65,0**	**85.0**

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**133,3**	**40,0**	**50.0**
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	32,0	30,0	30,0
სანებართვო მოსაკრებელი	101,3	10,0	20,0
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	20,7	25,0	35,0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	**20,7**	**25,0**	**35,0**
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**33,7**	**40,0**	**210,0**
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	27,0		200,0
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	0.9		
სხვა შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან	5,8	40,0	10,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**149.0**	**30,0**	**20,0**
შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან			**20,0**
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	149,0	30,0	**0**

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 10 130,7 ათასი ლარით. მათ შორის:

ათასი ლარი

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	**2020 წლის ფაქტი**	**2021 წლის გეგმა**			**2022 წლის პროექტი**		
		სულ	**მათ შორის**		**სულ**	**მათ შორის**	
			საკუთარი შემოსავლები	**სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**		**საკუთარი შემოსავლები**	**სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**
ხარჯები	**7 389,3**	**8 694,5**	**8 293,7**	**400,8**	**10 130,7**	**9 813,1**	**317,5**
შრომის ანაზღაურება	1 800,8	1 855,2	1 795,2	60,0	2 535,1	2 466,6	68,5
საქონელი და მომსახურება	1 507,4	2 038,6	1 771,3	267,3	2005,1	1 827,3	177,8
პროცენტები	69,8	61,6	61,6	-	61,6	61,6	-
სუბსიდიები	3 382,8	3 792,1	3 727,4	64,7	4 553,9	4 482,7	71,2
გრანტები	3,9	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	470,1	570,6	570,6	-	630,8	630,8	-
სხვა ხარჯები	154,5	347,5	367,6	8,8	344,3	344,3	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 12 662,9 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 12 922,9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 260,0 ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხევით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**10,9**	**64,1**	**182,6**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	10,9	64,1	182,6
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**7 206,2**	**8 556,6**	**11725,9**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 116,2	3 200,8	4724,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 305,7	384,5	422,8
02 03	გარე განათება	34,3	15,0	3,2
02 04	სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	490,0	-
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	-	-	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	920,7	3 206,5	5 356,8
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	689,7	703,5	795,0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	1 806,8	246,2	94,9
02 09	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	332,8	310,1	328,5
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**19,7**	**5,5**	**2,0**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,4	5,5	2,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	-	-	-
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	18,4	-	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	**განათლება**	**267,3**	**80,4**	**99,4**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	22,1	3,7	1,4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	-	-
04 05	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	245,3	75,2	98,0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**517,5**	**360,1**	**912,9**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	501,9	314,5	909,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	15,6	42,6	3,7
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**-**	**1,6**	**-**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	1,6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	**8 021,7**	**9 068,4**	**12 922,9**

ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი	**1 401,3**	**629,7**	**260.0**
ძირითადი აქტივები	1 134,4	25,0	150.0
არაწარმოებული აქტივები	266,9	604,7	110.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**2 468,4**	**2 695,2**	**3 633,9**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 398,6	2 633,6	3 572,3
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 398,6	2 604,2	3 571,4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	29,4	0,9
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	69,8	61,6	61,6
7.2	**თავდაცვა**	**61,4**	**70,3**	**78,8**
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	61,4	70,3	78,8
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**2 440,6**	**3 755,0**	**5285,6**
7.4.5	ტრანსპორტი	2 440,6	3 755,0	5285,6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 440,6	3 755,0	5285,6
7.5	**გარემოს დაცვა**	**625,2**	**711,0**	**881,4**
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	625,2	711,0	881,4
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**5 795,8**	**6 416,2**	**8002,8**
7.6.1	ბინათმშენებლობა	0	0	-
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3853,4	4578,4	6623,2
7.6.3	წყალმომარაგება	1612,3	811,8	868,4
7.6.4	გარე განათება	330,0	527,2	496,5
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	63,7	66,3	**71,2**

7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	63,7	64,7	71,2
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	**0**	**1,6**	-
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**1 996,4**	**2 031,3**	**2805,3**
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 133,0	1 036,7	1710,4
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	810,3	981,6	1031,8
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	13,0	13,0	13,0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40,0	-	50,0
7.9	**განათლება**	**1 419,7**	**1 387,7**	**1646,0**
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	894,5	942,7	1 162,7
7.9.2	ზოგადი განათლება	525,1	445,0	483,3
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	18,4	38,0	38,0
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	506,7	407,0	445,3
7.10	**სოციალური დაცვა**	**481,9**	**599,5**	**646,9**
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	215,2	260,0	260,0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,2	0,5	0,5
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	8,3	10,0	11,0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	94,1	89,4	115,5
7 .10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	18,7	56,1	50,4
7 .10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	145,4	183,5	209,5

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 11554,0 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 1112,2 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	**2020 წლის ფაქტი**	**2021წლის გეგმა**	**2022 წლის პროექტი**
საოპერაციო სალდო	6 893,2	7 961,7	11554,0
მთლიანი სალდო	272,8	- 477,0	-1112,2

მუხლი 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -1220,0 ლარით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	**165,1**	**- 584,8**	**- 1220,0**
ზრდა	**165,1**	**-**	**-**
ვალუტა და დეპოზიტი	165,1	-	-
კლება	**-**	**584,8**	**1220,0**
ვალუტა და დეპოზიტი	-	584,8	**1220,0**

მუხლი 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 107.8 ათასი ლარით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	**-**	**- 107,8**	**- 107,8**
კლება	**-**	**-**	**-**
საშინაო	-	-	-
სესხები	107,8	107,8	107,8

ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 107,8 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2015 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები სავარაუდოდ შეადგენს 484917ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 377157 ლარი.

თავი II
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 13 288,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**13 288,4**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5144,6
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	420,0
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	4724,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	868,4
02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	394,8

02 02 01 01	წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი	70,0
02 02 01 02	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	324,8
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	473,6
02 03	გარე განათება	496,5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	493,3
02 03 01 01	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	330,0
02 03 01 02	გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა	163,3
02 04	სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	14,8
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	5356,8
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	795,0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	129,9
02 09	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება	341,4
02 10	სატრანსპორტო მომსახურება	141,0

პროგრამის დასახელება	კოდი	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		**5144,6**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური**		
პროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 25% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა: - გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება; - გზების კაპიტალური შეკეთება; გზების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 400000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; გზების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის საბოლოო მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური		

	მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება**	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		**420,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოტაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. „ორმულ შეკეთებას“); არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 400000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება; სამუშაოები განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**გზების კაპიტალური შეკეთება**	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		**4724,6**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: - სოფლების: სადმელის, ძირაგეულის, სხვავის, პირველი ტოლის, ხოტევის, კლდისუბნის, ნიკორწმინდის სასოფლო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება რეგიუნალური ფონდით გამოყოფილი პროექტების თანადაფინანსება. -გარდა აღნიშნული პროექტებისა, 2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	**წყლის სისტემების განვითარება**	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		**868,4**
პროგრამის	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;**		

განმახორციელებელი	**საფინანსო სამსახური;** **ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“;**
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამისაგან: - წყლის სისტემების რეაბილიტაცია; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია; -წყლის სისტემების მოერ მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი; -ა(ა)იპ ‘მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“; წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.

პროგრამის დასახელება	კოდი	**წყლის სისტემების ექსპლოატაცია**	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		**394,8**
პროგრამის განმახორციელებელი	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;** **საფინანსო სამსახური;** **ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“;**		
პროგრამის აღწერა	წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**წყლის სისტემების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი**	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01 01		**70,0**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**საფინანსო სამსახური**
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების (7 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული წყლის ყველა სატუმბი მოწყობილობების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; ამბროლაურის მოსახლეობის უზრუნველყოფა 24 საათიანი სასმელი წყლით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა**	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01 02		**324,8**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“**		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკეებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		**473,6**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის ასევე გამოყოფილია თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2022 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: - სოფლების: გორის, ხონჭიორის, ბარეულის - წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია		

საბოლოო შედეგი	დროულად.

პროგრამის დასახელება	კოდი	**გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია**	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		**493,3**
პროგრამის განმახორციელებელი	**საფინანსო სამსახური;** **ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“**		
პროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 60 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 5850 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის, ქ. ამბროლაურში 1190 და სოფლებში 4660 წერტილი. გარე განათების ქსელის ექპლოტაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; - გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა; გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (5850 სანათი) წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ღამის საათებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება**	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 01		**330,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (5850 ერთეული) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; ღამის საათებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა**	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 02		**163,3**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“
ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 60 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 5850 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის ქ. ამბროლაურში 1190 და სოფლებში 4660 წერტილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა-შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		**5356,8**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გაგრძელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე , ქ. ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭისა ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ.ამბროლაურში მახლადიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობა; შაორის დასახლებაში ხელმოწერის სარიტუალოს მოწყობა; ქ. ამბროლაურის გურგენიძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რვა წყაროს თვალის კეთილმოწყობის სამუშაოები. გარდა აღნიშნული პროექტებისა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერების, ქუჩებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული სკვერებით შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		**795,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**საფინანსო სამსახური**		
პროგრამის აღწერა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით: ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი; ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი; გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი; დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი. დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით: ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი; ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100-მა ამომრჩეველმა;		

	გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200-მა ამომრჩეველმა. თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში; იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია**	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		**129,9**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში 2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, პროექტები განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია სტიქიის პრევენცია; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება**	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		**341,4**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50 ათას ლარს. პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50 000 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული და კვალიფიციური მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 881,4 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2022 წლის პროექტი**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**881,4**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	812,1
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	69.3
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0

პროგრამის დასახელება	კოდი	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		**812,1**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 5 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ამბროლაურიდან და მუნიციპალიტეტის 67 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქვაბტკრის ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 690 ერთეულს, მათ შორის, 150 განთავსებულია ქ. ამბროლაურში და 540 - მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 60 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 65368 მ² ქუჩების, 11485 მ² ტროტუარების, 16369 მ² სკვერების და 6555 მ^2 გაზონების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოს მოვლა–პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურეობის გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილი პერსონალის (მეეზოვეები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.		
პროგრამის მიზანის და მოსალოდნელი შედეგი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეულ იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივ ტუალეტებში დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		**69,3**
პროგრამის განმახორციელებელი	**ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“**		
	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ღონისძიები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამ-ქიმიკატების შეტანა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყეების მოვლა-პატრონობა. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება 9 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება.
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ-ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა მოვლითი სამუშაოები.

პროგრამის დასახელება	კოდი	**კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში**	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		**0**
პროგრამის განმახორციელებელი	**სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური**		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავისა და სანიტარული ნორმების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 646,0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2022 წლის პროექტი**
04 00	**განათლება**	**1 646,0**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	1162,7
04 03	განათლების ღონისძიებები	38,0
04 04	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი	178,0
04 05	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	179,9

პროგრამის დასახელება	კოდი	**სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება**	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		**1162,7**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“		
	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე		

	აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.
პროგრამის აღწერა	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 314 ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღზრდელო პროცესის წარმართვას. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 184 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.

პროგრამის დასახელება	კოდი	**განათლების ღონისძიებები**	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		**38.0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური**		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის (აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე, პედაგოგი, საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, მოსწავლე) საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელება: - ხელს შეუწყობს განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდას, გაზრდის მათ მოტივაციას. - პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, დაეხმარება უმაღლესი განათლების მიღებაში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	**ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“**	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		**178,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“**		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ ბაზაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგნობრივი და კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებები. 2021 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამის განათლებას იღებს საშუალოდ 250 მოსწავლე. მათ შორის, საგნობრივ მიმართულებებზე 120 და კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში 130 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია 24 შტატიანი და 7 შტატგარეშე თანამშრომელი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და მოზარდთა შესაძლებლობების გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. პროფილური/საგნობრივი წრეების ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების		

	გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	**საჯარო სკოლების ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში
	04 05		**267,3**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**საფინანსო სამსახური**		
პროგრამის აღწერა	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება დელეგირების თაობაზე გაფორმებული ტიპიური ხელშეკრულების შესაბამისად.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2805,3** ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2022 წლის პროექტი**
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2805,3**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1690,4
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	784,8
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	317,3
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	193,6
05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	116,3
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ რაჭა „	157,7
05 01 02	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	905,6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1094,8
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	848,7
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	599,5
05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	107,6
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	69,1
05 02 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	72,5
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	68,3

05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	13,0
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	114,8
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20,0

პროგრამის დასახელება	კოდი	**სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		**784,8**
პროგრამის განმახორციელებელი	**ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““.**		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია: - ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; - ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 6 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი. სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 212 ბავშვი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 70 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ამბროლაურის საცურაო აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლობით 700 ადამიანი. მათ შორის, სააბონენტო მომსახურებით სარგებლობს 350 ადამიანი, შეღავათიანი ტარიფით სკოლის მოსწავლეებისათვის 250 სკოლის ასაკის მოზარდი და დაახლოებით 100 ერთჯერადი შემომსვლელი. აუზს გააჩნია 25 მეტრიანი 4 ბილიკიანი აუზი. საფეხბურთო კლუბ რაჭაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 95 ბავშვი. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლის“ ქვეპროგრამა**	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		**317,3**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“**		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი (25 ბავშვი); ჭადრაკი (25 ბავშვი); რაგბი (18 ბავშვი); კარატე (22 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (30 ბავშვი) და ფრენბურთი (24 ბავშვი) ჩოხოსანთა ჭიდაობა (6 ბავშვი). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 150 ბავშვი. სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 44 ადამიანი, მათ შორის, 29 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 15 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.		

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბ ფალავნის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		193,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“. გამოყოფილი თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ჭიდაობის განვითარებას. კლუბში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 70 ბავშვი. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარამის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებები და სხვა ხარჯები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება; - მეტი მოზარდის ჩართვა ჭიდაობაში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ჭიდაობით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		116,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“. აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლობით 700 ადამიანი. მათ შორის, სააბონენტო მომსახურებით სარგებლობს 350 ადამიანი, შეღავათიანი ტარიფით სკოლის მოსწავლეებისათვის 250 ადამიანი. სკოლის ასაკის მოზარდი და დაახლოებით 100 ერთჯერადი შემომსვლელი. საცურაო აუზი მომხმარებლებს, ასევე სთავაზობს მასაჟის მომსახურებასაც (15 ადამიანი) აუზს გააჩნია 25 მეტრიანი 4 ბილიკიანი აუზი. ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 16 ადამიანი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე ტექნიკურ პერსონალს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; 6 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქის მაქსიმალური ჩართულობა ცურვის შესწავლა-დაოსტატებაში; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათში ცურვისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე აუზით მომსახურეთა გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ რაჭას“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		157,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 95 ბავშვი. კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში. ქვეპროგრამის		

	ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	**კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		**848,7**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.**		
პროგრამის აღწერა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 4 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)აპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, 1 მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“. თეატრები წარმოდგენებს მართავენ როგორც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ჯამში მაყურებელთა რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 5000 კაცს. მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 500-ზე მეტი ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 93518 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2700 მოსახლე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“ მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში. ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სამუსიკო სკოლის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, ხალხური საკრავების და გიტარის, საესტრადო ვოკალის, საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების, კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო-სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 240 ბავშვი. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 ბავშვი.		
პროგრამის აღწერა და მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა; სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა, სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		599,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტო ფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს. საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“ მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.		
ქვეპროგრამის აღწერა და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		107,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა.		
	სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (16 მოსწავლე), ხალხური საკრავების და გიტარის (34 მოსწავლე), საესტრადო ვოკალის (40 მოსწავლე), საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების (17 მოსწავლე), კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების (133 მოსწავლე) მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 240 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 13 თანამშრომელს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: ფორტეპიანოს,ხალხური საკრავების,საესტრადო სიმღერების, ქართული და თანამედროვე კლასიკური ცეკვების შესწავლა ბავშვებსა და მოზარდებში. მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული, ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. მოსალოდნელი შედეგი: სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		69,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა.		
	სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 12 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები: თექა, ჭრა–კერვა, ტიხრული მინანქარი, ხალიჩა–ფარდაგი, ხატწერა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		72,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მუზეუმი		
	მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 503 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე), ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. მოსახლეობის ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		68,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
	კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა, ესენია: - სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა; - საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა; სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო/კულტურული ღონისძიებების აღნიშვნას, რომლთა ორგანიზებაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის/რეგიონის პოპულარიზაცია/ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი არტისტების კულტურული პროდუქტების საზოგადოებისთვის გაცნობას და სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: დამოუკიდებლობის დღისადმი (26 მაისი) მიძღვნილი ღონისძიება; ახალი წლის ღონისძიება.		

პროგრამის აღწერა	საპატიო წოდების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდების მინიჭება. ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები. კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს მოღვაწეებისთვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდება წლის განმავლობაში მიენიჭება არაუმეტეს 3 აქტიურ და ინიციატორ მოქალაქეს. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: "ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რომ შემეძლო და არ გავაკეთე".
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება. საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირება. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრის“ ქვეპროგრამა**	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		**114,8**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“**		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“. ცენტრი უზრუნველყოფს საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ-საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში, სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. „ტურისტული ცენტრი“ შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრში“ დასაქმებულია 11 თანამშრომელი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.		

პროგრამის დასახელება		კოდი	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**	დაფინანსება ათას ლარში
		05 03		**20,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		**განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური**		
	პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდებისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. პროგრამა შედგება შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან:			

პროგრამის აღწერა	- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას; მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება მარათონი, ყველა მონაწილეებს გადაეცემათ საიმიჯო მაისური, კეპი, სიგელი. გამარჯვებულებს (პირველ, მე-2 და მე-3 ადგილოსანი ვაჟი და გოგონა, უხუცესი და ნორჩი მონაწილე) დამატებით გადაეცემათ ფულადი პრიზი (100 ლარი); მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდება უფასო მგზავრობის ბარათები; განხორციელდება სატენდერო შესყიდვა ბენეფიციართა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მიზნით (200-220 ბენეფიციარის ტრანსპორტირება).
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; ახალგაზრდებისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდებისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 718,1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**718,1**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	331,2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	71,2
06 01 02	ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია	0
06 01 03	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	32,0
06 01 04	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	120,0
06 01 06	ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	28,0
06 01 07	ქირურგიული ოპერაციების საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	80,0
06 02	სოციალური დაცვა	386,9
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	35,0
06 02 02	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	35,0
06 02 03	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	1,5
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება	100,0

06 02 05	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება	30,4
06 02 06	მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	50,0
06 02 07	მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	11,0
06 02 08	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	20,0
06 02 09	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2,0
06 02 10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	23,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება	50,0
06 02 12	100 წლისა და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	0,5
06 02 13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	28,5

პროგრამის დასახელება	კოდი	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა**	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		**71,2**
პროგრამის განმახორციელებელი	**ა(ა)იპ „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“**		
პროგრამის აღწერა	თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინფექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4 . მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. COVID-19 ინფექციის მართვა; 6. თამბაქოს მოწევის აკრძალვის მონიტორინგი; 7. მუნიციპალიტეტშიმცხოვრები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ბენეფიციარების მოძიებისა და შემდგომ კონფირმაციულ კვლევებში ჩართვის პროგრამა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შეგედი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		32,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ბევრია მედიკამენტების მომხმარებელი ხანგრძლივად მოავადე ადამიანები, რომელთაც მედიკამენტების ღირებულებიდან გამომდინარე, არ აქვთ მათი შეძენის ფინანსური საშუალება. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ეპილეფსიით, პარკინსონით, გლაუკომით, ფსორიაზით, პოლიათროზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, კრონის, ვილსონის, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მიასთენიით, ციროზით, ინსულტით (მოძრაობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოიდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობტრუქციული დაავადებით (ფქოდ) ხანგრძლივად მოავადე პირს, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი, გულის უკმარისობის III და IVკლასის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს ანთითრომბოზული და სისხლის შედედების საწინააღმდეგო მედიკამენტებით მკურნალობას; დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს (ას ორმოცდაათი ათასი). პაციენტების მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდება წლიური 200 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურება - მედიკამენტების ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე. ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებითი მკურნალობის ქვეპროგრამა - 3500 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია, აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტების ყოველდღიური მოხმარებით კვების რაციონში. გულის უკმარისობის III და IVკლასის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს ანთითრომბოზული და სისხლის შედედების საწინააღმდეგო მედიკამენტებით მკურნალობას დაფინანსდება წლიური 600 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის დახმარება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის; ბენეფიციარის სტაბილური ჯანმრთელობის მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		120,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ონკოლოგიური ავადმყოფების დიდი რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის მკურნალობა, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ჰორმონოთერაპია, მედიკამენტური მკურნალობა, სამედიცინო კვლევები და სხვა. მოსარგებლე ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით წლიური 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ზრუნვა. სტაბილური ჯანმრთელობის შენარჩუნება; მოსარგებლე ბენეფიციართა შენარჩუნებული და გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	ათას ლარში
	06 01 06		28,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც რიგი დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს; ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000 ქულას.(გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა; კორონაროგრაფია/ანგიოგრაფიისა და ელასტოგრაფიისა). ბენეფიციარი დაფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წლიური ლიმიტით არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა (გარდა კორონაროგრაფია/ანგიოგრაფიისა და ფენილკეტონური დაავადების მქონე პირის გენის კვლევა მუტაციებზე). დაფინანსდება შემდეგი მომსახურებები: ა) კომპიუტერული ტომოგრაფია; ბ) მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია; გ) კორონაროგრაფია/ანგიოგრაფია - არაუმეტეს 800 ლარისა; დ) ელასტოგრაფია; ე) დოპლეროგრაფია. ვ)ფენილკეტონური დაავადების მქონე პირის გენის კვლევა მუტაციებზე - არაუმეტეს 1500 ლარისა. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურების (კვლევები) ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე. ზ) აორტოგრაფია.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დროული გამოკვლევა ავადობის გამოსავლენად; დროულად გამოვლენილი ავადობა და სტაბილური ჯანმრთელობის მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 07		80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**		
ქვეპროგრამის აღწერა	მოსახლეობის დიდ ნაწილს ხშირ შემთხვევაში ესაჭიროება ოპერაციული მკურნალობა, რომელიც ძვირადღირებულია და არ არის ხელმისაწვდომი, რაც იწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას; ქვეპროგრამით მოსარგებლეა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭირიოება ქირურგიული მკურნლობა. დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს, რომლის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 150 000-ს (გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა და ბენეფიციარებისა, რომელთაც ჩაუტარდათ მწვავე გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია). მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, წლიური 1000 (ათას) ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. დახმარება ერთჯერადად გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს, რომელთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა აღემატება 150 000-ს (ასორმოცდაათი ათასი), ან საერთოდ არ არის რეგისტრირებული აღნიშნულ ბაზაში. მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის ოპერაციული ჩარევით განკურნება; ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ჯანმრთელობის გაუმჯობესებული მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და 10 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში

	06 02 01		35,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**		
